



# შპს კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor's Program in European Studies
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი (1104)
ინგლისურად:	Bachelor of European Studies (1104)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის ბრძანებით №01/05-130
პროგრამის განახლების თარიღი	განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შემდეგი ბრძანებებით: 2012 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №01/01-22; 2013 წლის 27 აპრილის ბრძანება №01/01-13; 2013 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01/01-34; 2014 წლის 25 მარტის ბრძანება №01/01-36; 2014 წლის 20 მაისის ბრძანება №01/01-60; 2014 წლის 31 მაისის ბრძანება №01/01-68; 2014 წლის 31 მაისის ბრძანება №01/01-69; 2015 წლის 31 ივლისის ბრძანება №01/01-20; 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანება №01/01-04; 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №01/01-26; 2016 წლის 03 სექტემბრის ბრძანება №01/01-34; 2017 წლის 03 მაისის ბრძანება №01/01-15; 2019 წლის 18 იანვრის ბრძანება №01/01-11.
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი გურანდა ჭელიძე

### **პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათს).

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, აქედან 25 ECTS კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს, 30 ECTS კრედიტი - ინგლისურ ენას, 20 ECTS კრედიტი - მეორე უცხო ენის შესწავლას, 115 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, 35 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 15 ECTS კრედიტი – მოიცავს თავისუფალ კრედიტებს.

პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე განხორციელებას.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. უცხო ენად ბარდება მხოლოდ ინგლისური ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p><b>პროგრამის მიზანი</b></p>	<p>ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:</p> <p>თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება ევროპისმცოდნეობაში, რომლებსაც ექნებათ ფართო თეორიული ცოდნა ევროპისმცოდნეობის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ. პროგრამა მიზნად ისახავს ევროპისმცოდნეობის საკვანძო საკითხების შესწავლას ისტორიულ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან სინთეზში, რაც სტუდენტებს საკუთარი თუ უცხო ქვეყნების სპეციფიკის ხედვისა და ანალიზის უნარს გამოუმუშავებს. ასევე, პროგრამით დღევანდელ დღეს აუცილებელი უცხო ენების ცოდნა შეთავსებულია ევროპის კომპლექსურ შესწავლასთან.</p> <p>ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას; სტუდენტთა მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მობილობისათვის, შრომის ბაზრის დაკომპლექტებას ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრებით.</p>
<p><b>პროგრამის სწავლის შედეგები</b></p>	<p>ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:</p> <p><b>შედეგი 1. იცის სპეციალიზაციის რეგიონის - ევროპისათვის დამახასიათებელი კომპლექსური საკითხები. ევროპისმცოდნეობის ძირითადი საკითხები შესწავლილი აქვს ისტორიულ და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ინტეგრირებულად.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ იცნობს ევროპის განვითარების თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ განსხვავებულ კონცეფციებს;</li> <li>➢ კომპლექსურად მიმოიხილავს და ახასიათებს ევროპას გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთნიკურ-რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;</li> <li>➢ განსაზღვრავს და ხსნის ევროპის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და კანონზომიერებებს;</li> <li>➢ აცნობიერებს თანამედროვე ევროპის წინაშე მდგარ ლოკალურ და გლობალურ გამოწვევებს და განაზოგადებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტში, აკავშირებს მასთან საქართველოს ევროპული განვითარების პერსპექტივებს.</li> </ul> <p><b>შედეგი 2. ფლობს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ძირითად მეთოდებს და აქვს მზაობა, მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ შეუძლია ხელმძღვანელთან და ექსპერტთან კონსულტაცია და პროექტებში ჩართვა;</li> <li>➢ დასახული პრობლემების გადასაწყვეტად და გასაანალიზებლად ირჩევს და იყენებს სფეროსათვის რელევანტურ კვლევის მეთოდებს.</li> <li>➢ შეუძლია მულტიდისციპლინურ გარემოში მუშაობა.</li> </ul>

**შედეგი 3. დამოუკიდებლად შეუძლია ბეჭდურ და ელექტრონულ წყაროებში სპეციალიზაციის სფეროსათვის დამახასიათებელი პროფესიული ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.**

- აგროვებს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვაენოვან მასალას, ახდენს მის კლასიფიკაციასა და ანალიზს;
- ახდენს მიღებული შედეგების დიფერენცირებას და შეფასებას;
- შეუძლია საკვლევ საკითხზე სწორი დასკვნების გამოტანა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება;

**შედეგი 4. ამზადებს ანგარიშებს სპეციალიზაციის რეგიონის - ევროპის შესახებ არსებულ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე და ახდენს მათ დემონსტრირებას როგორც წერილობით, ისე ზეპირად ქართულ და უცხოურ ენებზე, შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.**

- წარადგენს საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც წერილით სახით, ასევე ზეპირი პრეზენტაციის საშუალებით;
- იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მასალის დამუშავების, შენახვისა თუ ჯგუფებთან და ინდივიდებთან მისი დემონსტრირების მიზნით;
- აქტიურად და ეფექტიანად მონაწილეობს შეხვედრებში, დისკუსიებსა და დებატებში და აცნობიერებს მის მნიშვნელობას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

**შედეგი 5: შემოქმედებითად უდგება მიღებულ დავალებას, ავლენს ინიციატივის უნარს, იღებს პერსონალურ პასუხისმგებლობას საკუთარ საქმიანობასა და მის შედეგებზე.**

- ახდენს საჭირო ჩანაწერებისა და ჩანიშვნების ორგანიზებას სწავლის პროცესის წარმართვისა და დაგეგმვის მიზნით;
- შეუძლია დროისა და სასწავლო რესურსების ეფექტიანი მართვა და გამოყენება;
- განსჯის საკუთარ საქმიანობას, ახდენს მასზე რეფლექსიას და ირჩევს მასზე რეაგირების ადეკვატურ ფორმას.

**შედეგი 6: აცნობიერებს და ითავისებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და ახდენს მათ დემონსტრირებას საკუთარი საქმიანობის პროცესში**

- საკუთარ საქმიანობას აგებს ევროპის ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ნაციონალური და კულტურული განვითარების კონტექსტში საკუთარი და სხვა ქვეყნების მმართველობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზების შემეცნებასა და პატივისცემაზე;
- საკუთარ მოსაზრებებს, განსჯასა და შეფასებებს აფუძნებს ეთიკის დაცვასა და სხვათა აზრისა და შეხედულებების გათვალისწინება-გაზიარებაზე, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაზე.
- უპირატესობას ანიჭებს გუნდურ მუშაობას.

**დასაქმების სფეროები**

ევროპისმცოდნე სპეციალისტების პროფესიული უნარების გამოყენების სპექტრი ფართოა. მოცემული კვალიფიკაცია ითვალისწინებს მუშაობას ისეთ ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან. კურსდამთავრებულს შეუძლია შეასრულოს მთარგმნელის, კონსულტანტის, რეფერენტის, დიპლომატის, მეცნიერ-თანამშრომლის, ასევე ექსპერტის ფუნქცია საჯარო უწყებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, წარმომადგენლობებსა და კულტურულ ცენტრებში საზღვარგარეთ, უცხოურ და

	ადგილობრივ კომერციულ კომპანიებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ერთობლივ საწარმოებში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	ევროპის მცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში, კანონით დადგენილი წესისამებრ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
<p>საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p>	
<p>შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.</p> <p>სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზე მიმართულია. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.</p>	
<p>შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>	
<p>სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.</p>	
<p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p>	
<p>სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით</p>	

შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები**

- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - 9 პროფესორი (აქედან 3 აფილირებული) და 4 ასოცირებული პროფესორი (აქედან 2 აფილირებული);
- მოწვეული ლექტორები - 25

**პროგრამის სხვა რესურსები**

- პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:**
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ვარშავის უნივერსიტეტი „Collegium Civitas“ (პოლონეთი)
  - ადამ მიცკევიჩის პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
  - ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ესტონეთი)
  - კიბის საერთაშორისო უნივერსიტეტი (იაპონია)
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები:**
- ა(ი)კ ვეროპის სახლი
  - ა(ა)იკ იკომის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

- ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი
- ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
- ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრი
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

### მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- სასწავლო აუდიტორიები.
- კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკები;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).
- უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.
- სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.
- კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე ფუნქციონირებს რვა კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD“ - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Nortel“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე. აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების

შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში. პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი.



ევროპის მცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა  
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			<b>ზოგადსაუნივერსიტეტო და სასკოლო სავალდებულო სასწავლო კურსები:</b>	15	10								25
1	ACWR 1160	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5									5
2	CSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5									5
3	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია	5									5
4	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია		5								5
5	RESH 1260	არ გააჩნია	შესავალი კვლევის მეთოდებში		5								5
			<b>მოდული - ინგლისური ენა</b>	5	5	5	5	5	5				30
6	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5									5
7	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5								5
8	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5							5
9	ENGL0008/ ENGL 0010	ENGL0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5						5
10	IENG 0160	ENGL 0008/ENGL 0010	ინტერდისციპლინარული დარგობრივი ენა 1					5					5

11	IENG 0260	IENG 0160	ინტერდისციპლინარული დარგობრივი ენა 2						5			5
			<b>მოდული - მეორე უცხო ენა</b>			5	5	5	5			20
			<b>(სავალდებულო/არჩევითი)</b>									
12	FREN/GERM/ESP 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0			5						5
13	FREN/GERM/ESP 0002	FREN/GERM/ESP 0001	მეორე უცხო ენა A1				5					5
14	FREN/GERM/ESP 0003	FREN/GERM/ESP 0002	მეორე უცხო ენა A2.0					5				5
15	FREN/GERM/ESP 0004	FREN/GERM/ESP 0003	მეორე უცხო ენა A2						5			5
			<b>მოდული - დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო სასწავლო კურსები</b>	10	15	15	15	15	10	15	20	115
16	POLS 0002	არ გააჩნია	პოლიტიკური მეცნიერების შესავალი	5								5
17	CCIV 1160	არ გააჩნია	კულტურა და ცივილიზაცია	5								5
18	IREG 1260	არ გააჩნია	რეგიონმცოდნეობის შესავალი		5							5
19	GEOP 0008	არ გააჩნია	მსოფლიოს საზოგადოებრივი გეოგრაფია		5							5
20	NTHE 1260	არ გააჩნია	ევროპის ახალი დროის ისტორია		5							5
21	ECON 0008	არ გააჩნია	ეკონომიკის საფუძვლები			5						5
22	IR 2160	არ გააჩნია	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი			5						5
23	MHE 2160	NTHE 1260	ევროპის თანამედროვე ისტორია - XIX ს. 70-იანი წლებიდან დღემდე			5						5
24	CLAW 2260	არ გააჩნია	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი				5					5
25	IPIO 2260	არ გააჩნია	საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საერთაშორისო ორგანიზაციები				5					5
26	PR 2260	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობა				5					5

27	EU 3160	არ გააჩნია	ევროკავშირის სამართალი						5				5
28	WEER 3160	GEOP 0008 ECON 0008	მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები						5				5
29	EGHP 3160	HIST 0003	ევროპა და საქართველო - ისტორიული პერსპექტივა						5				5
30	EU 3260	არ გააჩნია	ევროპის კავშირის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა							5			5
31	EU 3261	MHE 2260 EL 3260	ევროინტეგრაცია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა							5			5
32	HR 4160	არ გააჩნია	ადამიანის უფლებები								5		5
33	RD 4160	RESH 1260	კვლევის დიზაინი								5		5
34	EU 4160	EU 3160	ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა								5		5
35	EU 4260	არ გააჩნია	ენერგოპოლიტიკა და ენერგოსაფრთხოება ევროპაში									5	5
36	EDGP 4260	არ გააჩნია	გლობალური პრობლემების ევროპული განზომილებანი									5	5
37	BTHE 4260	RD 4160	საბაკალავრო ნაშრომი									10	10
			<b>მოდული დარგობრივი და პროფესიული არჩევითი სასწავლო კურსები</b>			5	5	5	5	10	5		35
38	EETH 2160	არ გააჩნია	ევროპის ეთნოლოგია			5'							5
39	EREL 2160	არ გააჩნია	ევროპის რელიგიური მიმდინარეობები			5'							5
40	ECH 2260	CCIV 1260	ევროპის კულტურული მემკვიდრეობა				5'						5
41	ELIT 2260	არ გააჩნია	ევროპის ლიტერატურის ისტორია				5'						5
42	MGS 3160	არ გააჩნია	მართვის უნარები და ლიდერობა					5'					5
43	MK 3160	არ გააჩნია	მარკეტინგის საფუძვლები					5'					5
44	GAHE 3260	CCIV 1160	ქართული ხელოვნების ისტორია და ევროპული ცივილიზაცია							5'			5
45	POLS 3260	POLS 0002	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები							5'			5

46	ETR 4160	POLS 0002 MHE 2160	მეოცე საუკუნის ევროპის ტოტალიტარული რეჟიმები							5'		10
47	PI 4160	PHIL 0005 POLS 0002	პოლიტიკური იდეოლოგია							5'		
48	EPIP 4160	არ გააჩნია	ევროპის პოლიტიკური იდეები და პარტიების წარმოშობა საქართველოში							5'		
49	CIGE 4260	არ გააჩნია	კულტურა და იდენტობა გლობალიზებულ ევროპაში								5'	5
50	TN 4260	არ გააჩნია	ნაციონალიზმის თეორიები								5'	
51	EU 4261	არ გააჩნია	ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით								5'	
52	EU 4262	არ გააჩნია	ევროკავშირი და პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპეიზაცია								5'	
			<b>თავისუფალი კრედიტები</b>						5	5	5	15
53	FREE 0001		თავისუფალი კრედიტი						5			5
54	FREE 0002		თავისუფალი კრედიტი							5		5
55	FREE 0003		თავისუფალი კრედიტი								5	5
<b>ECTS კრედიტები</b>			<b>სემესტრში</b>	30	30	30	30	30	30	30	30	240
			<b>წელიწადში</b>	60	60	60	60	60	60	60	60	240
			<b>სასწავლო კურსების/მოდულების რაოდენობა წელიწადში</b>	12/3	12/4	12/5	12/3	12/3	12/3	12/3	12/3	48/6

